



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 10 მარტი

**დისციპლინური საქმე №1/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- 2021 წლის 18 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 18 იანვრის №6/1-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლემ სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის გამო, მისი დაჯარიმების შესახებ მიიღო უკანონო განკარგულება. ასევე, მოსამართლე არ აკმაყოფილებს დაცვის მხარის შუამდგომლობას შეადაროს ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანის მონაცემები იმ ავტომანქანის მონაცემს, რომელსაც ითხოვს დაზარალებული და ყურადღებას არ აქცევს ექსპერტთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებას.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსამართლე --- სს საქმე --- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2019 წლის 28 თებერვალს.

-- სასამართლოს 2020 წლის 14 დეკემბრის განკარგულებით ადვოკატი ---, სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, დაჯარიმდა 500 ლარით.

-- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა -- სასამართლოს 2020 წლის 14 დეკემბრის განკარგულება ადვოკატ --- 500 ლარით დაჯარიმების თაობაზე.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჩრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლოში პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აკისრებს ჯარიმას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს შემაკავებელი ხასიათის, მიყენებული ზიანის პროპორციული და უნდა შეესაბამებოდეს პირის ფინანსურ მდგომარეობას. ხოლო სს საქმის არსებითი განხილვისას უშუალოდ გამოიყენება ამავე კოდექსის 240-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, პროცესის რომელიმე მონაწილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ამ კოდექსით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითი განხილვის გაგრძელების ან გადადების შესახებ. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას

სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეს განკარგულებით აკისრებს ჯარიმას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაც მას არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან. მხარეს უფლება აქვს, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა გამოძახებული პირის იძულებით მიყვანის თაობაზე.

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, მოსამართლე -- -- მიერ 2020 წლის 14 დეკემბერს ადვოკატ -- -- დაჯარიმების შესახებ მიღებული განკარგულების კანონიერებას. -- სასამართლოს 2020 წლის 14 დეკემბრის განკარგულებით, ადვოკატი -- -- დაჯარიმებულ იქნა 500 ლარით, საქმის განხილვის განზრახ გაჭიანურების მცდელობისათვის.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ადვოკატმა -- -- 2020 წლის 11 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე განაცხადა, 2020 წლის 14 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ და მიუთითა მიზეზიც, კერძოდ იმავე დროს სხვა სასამართლოში გასამართლი პროცესი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატ -- -- გამოუცხადებლობის გამო არ არსებობდა სასამართლო სხდომის გადადების გონივრული მოლოდინი, ვინაიდან ბრალდებულს დანიშნული ჰყავდა სახაზინო ადვოკატი.

შესაბამისად, -- -- მხრიდან არ იკვეთებოდა თავისი მოვალეობისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც გამოიხატებოდა საქმის განხილვის გაჭიანურების მცდელობაში. აღნიშნული უნდა გაეთვალისწინებინა მოსამართლე -- --.

ამ მოცემულობიდან გამომდინარე, -- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 22 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა -- სასამართლოს 2020 წლის 14 დეკემბრის განკარგულება ადვოკატ -- -- 500 ლარით დაჯარიმების თაობაზე.

„საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური გადაცდომისა და სამართლებრივი შეცდომის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. აღნიშნული მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, მოსამართლემ დაუშვა შეცდომა, მაგრამ იგი ექვემდებარება გამოსწორებას. შეცდომის გამოსწორების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრება, ...გადაწყვეტილების გასაჩივრებით შესაძლებელია, ზემდგომმა სასამართლომ აღმოფხვრას ქვემდგომი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა. ...ამდენად, ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია დაშვებული შეცდომის შეცვლა და მისი გამოსწორება იმავე ან ზემდგომი სასამართლოს მიერ, რაც გამორიცხავს რაიმე უარყოფითი შედეგის მიღებას. მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა, რომლის გამოსწორება შესაძლებელია, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. აღნიშნული კვალიფიცირდება სამართლებრივ შეცდომად და დაუშვებელია ამ საფუძვლით მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრება“¹.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის პრეტენზიას მოსამართლის მიერ შუამდგომლობის გადაწყვეტასა და მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოს პრეროგატივა (Barberia, Messegue, Jabardo v. Spain, §68).

ამრიგად, როგორც მოსამართლის მიერ ადვოკატ -- -- მიმართ მიღებული განკარგულების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე, ასევე მოსამართლის მიერ შუამდგომლობის გადაწყვეტასა და მტკიცებულებათა შეფასებაზე მსჯელობა სცდება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებს. კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის შეფარდების სამართლებრივი პროცესი, ისევე როგორც

¹ სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

შუამდგომლობის გადაწყვეტა და მტკიცებულებათა შეფასების პროცესი ხორციელდება გარემოებათა შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების /განხორციელებული ქმედებების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებისა თუ განხორციელებული ქმედების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

-- -- 2021 წლის 18 იანვრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --
-- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი